



პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობის ხარჯები



Supported by
Luminate
Building stronger societies



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია **Luminate**-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს **Luminate**-ის პოზიციას.

სარჩევი

ძირითადი მიგნებები.....	4
შესავალი.....	6
საჯარო დაწესებულებების წერილობითი კომუნიკაცია პრეზიდენტის რეზიდენციის ანტიკვარიატით მოწყობასთან დაკავშირებით	7
პრეზიდენტის რეზიდენციის მოწყობაზე გაწეული ხარჯები	11
პრეზიდენტის რეზიდენციისათვის შესყიდული ანტიკვარიატი	12
შესყიდული ანტიკვარიატის რესტავრაციის ხარჯები	18
პრეზიდენტის რეზიდენციისათვის შესყიდული თანამედროვე ავეჯი და სანათი საშუალებები.....	19
დასკვნა	23

ძირითადი მიგნებები

- საქართველოს პრეზიდენტის ათონელის რეზიდენციის კეთილმოწყობისთვის, ადმინისტრაციის მიერ შერჩეული ანტიკვარული და თანამედროვე ავეჯის, სანათი საშუალებების და ინტერიერის სხვადასხვა აქსესუარის შესყიდვისთვის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 2 800 000 ლარი;
- სულ გაიხარჯა 2 174 783 ლარი, საიდანაც 1 199 558 ლარი მოხმარდა ანტიკვარული ავეჯის და ინტერიერის აქსესუარების შეძენას, 255 000 ლარი მათ რესტავრაციას, ხოლო 720 225 ლარი - თანამედროვე ავეჯის, სანათი საშუალებების და ფარდების შესყიდვას;
- ოქმების მიხედვით, ეროვნულმა მუზეუმის სამუშაო ჯგუფმა ორ დღეში ადგილზე შეისწავლა 58 ანტიკვარული ნივთი და მათი ვიზუალური დათვალირებით განსაზღვრა მათი შესყიდვის მიზანშეწონილობა;
- ეროვნული მუზეუმის სამუშაო ჯგუფმა სულ შეისწავლა 62 ანტიკვარული ნივთი, საიდანაც 51-ზე შესაძლებლად მიიჩნია ნივთის შეძენა შემოთავაზებულ ფასად, ხოლო 11 შემთხვევაში დაასკვნა, რომ შემოთავაზებული ფასი აღემატებოდა მის რეალურ ღირებულებას;
- კომისიის თანხმობით სულ შესყიდულია 47 ოქმის მიხედვით შეფასებული ანტიკვარული ნივთები, მათ შორის: 10 გარნიტური/სამეული, 7 ბული/ბიურო მარკეტრი, 7 ჭადი, 5 მაგიდა, 3 ბუხრის საათი, 3 სარკე, 3 მანდალი, 2 ხალიჩა და სხვა;
- ათონელის რეზიდენციისთვის შესყიდულ ანტიკვარულ ნივთებს შორის ყველაზე ძვირადღირებულია რუსეთის საიმპერატორო ქარხანაში დამზადებული XIX საუკუნის ჭადი - 59 000 აშშ დოლარი;
- ოთხ ანტიკვარულ ჭადში - ჯამში 133 410 აშშ დოლარი / 391 112 ლარი დაიხარჯა;
- შესყიდულ ანტიკვარულ ავეჯს (გარნიტურები, ბული, მაგიდა) შორის ყველაზე ძვირადღირებულია რუსული - პავლე პირველის პერიოდის (1754-1801) „ბიუროს სეკრეტერი“ - საწყისი ღირებულებით 18 100 აშშ დოლარი;
- შეძენილ ანტიკვარულ ნივთებს შორის, ვხდებით სხვადასხვა ძვირადღირებულ ინტერიერის აქსესუარებს. მაგალითად, 8 500 აშშ დოლარად შესყიდულია შვიდი ირანული ფერწერული ტილო, 4 310 აშშ დოლარად - ირანული მამლის ფიგურების წყვილი, 3 წყვილი მანდალი - თითოეულის ფასი 3000 დან 8000 აშშ დოლარამდე, 3 ბუხრის საათი - თითოეულის ფასი 7000 დან 18 000 აშშ დოლარამდე, შუა აზიური ორი ხალიჩა - თითოეულის საწყისი ფასი 5000 დან 7000 აშშ დოლარამდე და სხვა;
- შესყიდულ ანტიკვარულ ნივთებს შორის არცერთი არ არის ქართული წარმომავლობის. 25 ერთეულზე მითითებულია ევროპული წარმომავლობა, 11 ერთეული - ფრანგული, 6

ერთეული - რუსული, 3 ერთეული ირანული, ხოლო 2 ერთეული - შუა აზიური;

- პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისთვის ანტიკვარული ნივთების გარდა, ტენდერის გარეშე დამატებით შესყიდულია 111 ერთეული სხვადასხვა ტიპის თანამედროვე ავეჯი (1 ბიბლიოთეკის კედელი, 2 ტახტი, 13 მაგიდა, 60 სკამი/სავარძელი, 22 კონსოლი, 5 ტუმბო/დესაო, 8 პედესტალი);
- თანამედროვე ავეჯს შორის ყველაზე ძვირადღირებულია 13 000 ევროს და 10 300 ევროს ღირებულების ტახტები;
- პრეზიდენტის რეზიდენციისთვის შესყიდულია 120 ერთეული თანამედროვე სანათი საშუალება (17 ჭალი, 49 ბრა, 38 ტორშერი, 9 მაგიდის ლამპა, 7 ნათურა);
- შესყიდული 17 თანამედროვე ჭალიდან თითოეულის ფასი 1900-დან 6 000 ლარამდე მერყეობს, 38 ტორშერიდან თითოეულის ფასი - 300-დან 4 000 ლარამდე, 49 ბრიდან - თითოეულის ფასი - 700- დან 2700 ლარამდე, 9 მაგიდის ლამპიდან - თითოეულის ფასი 1100-დან 1 500 ლარამდე, 7 ნათურა - თითოეულის ფასი 41,9 ევრო.

შესავალი

2019 წლის 8 ოქტომბერს ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერში გავიდა [სიუჟეტი](#), რომლის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის ათონელის რეზიდენციის ანტიკვარული და თანამედროვე ავეჯით კეთილმოწყობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოლიდური თანხები დაიხარჯა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებით, რეზიდენციის ანტიკვარული ნივთებით მოწყობის გადაწყვეტილება ემსახურებოდა საზოგადოებისათვის და მომავალი თაობებისთვის კულტურული ფასეულობების შენარჩუნებას. ამასთან, პრეზიდენტის მრჩევლის განცხადებით, საქართველოს პირობებში მეორადი და ანტიკვარული ავეჯის შეძენა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე თანამედროვე სტილის ქარხნული ავეჯის შეძენა.

საქართველოს პრეზიდენტის ათონელის რეზიდენციის შენახვა/კეთილმოწყობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ხელისუფლების მიერ ავლაბრის რეზიდენციიდან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის (გიორგი მარგველაშვილის) გადასვლის მოთხოვნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, ხარჯების ეკონომია სახელდება.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში IDFI შეეცადა გამოერკვია როგორ წარიმართა ათონელის რეზიდენციის ანტიკვარული და თანამედროვე ნივთებით კეთილმოწყობის პროცესი და რა დაუჯდა სახელმწიფო ბიუჯეტს თითოეული სამუშეო ექსპონატის თუ თანამედროვე ნივთის შესყიდვა. შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით IDFI-მ მიმართა პროცესის სავარაუდო მონაწილეებს: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურს, სსიპ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს, საქართველოს ეროვნული მუზეუმს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, სსიპ ლევან სამხარაული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს.

ჩამოთვლილი უწყებებიდან მიღებული დოკუმენტაციის (რეზიდენციის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებებს შორის არსებული მიმოწერა, ანტიკვარული ნივთების შეფასების ოქმები, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ მთავრობის განკარგულებების პროექტები, კომპანიების მიერ გადაგზავნილი ინვოისები და სხვა) საშუალებით, ქვევით წარმოდგენილია პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობაზე ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების დეტალური ანალიზი, რაც გვხმარება მისი მიზანშეწონილობის შეფასებაში.

საჯარო დაწესებულებების წერილობითი კომუნიკაცია პრეზიდენტის რეზიდენციის ანტიკვარიატით მოწყობასთან დაკავშირებით

საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის თანამედროვე და ანტიკვარული ავეჯით და სხვადასხვა ინტერიერის აქსესუარებით კეთილმოწყობასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებებს შორის ოფიციალური მიმოწერა დაიწყო **2019 წლის 22 მარტს**, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სსიპ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართა შერჩეული ანტიკვარული ნივთების ექსპერტიზისა და შესყიდვისათვის საჭირო პროცესების დაწყების მოთხოვნით. კერძოდ, სააგენტოს განემარტა რომ პრეზიდენტის რეზიდენციის ისტორიული ნაწილის სივრცეებისათვის შერჩეული იყო ანტიკვარული ავეჯი, ჭალები და ინტერიერის აქსესუარები რომელთა უდიდესი ნაწილი კერძო პირების საკუთრებას წარმოადგენდა. ნივთების შესაძენად აუცილებელი იყო მათი სიძველის და ფასების ექსპერტიზა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დახმარებით. აღნიშნულ წერილს თან ერთვოდა შერჩეული ანტიკვარული ნივთების ნუსხა, რომელთა საერთო ღირებულება **426 300 აშშ დოლარს** შეადგენდა. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, **2019 წლის 4 აპრილს** პრეზიდენტის ადმინისტრაციამ კვლავ მიმართა მსგავსი შინაარსის წერილით სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს, სადაც დამატებით განმარტებული იყო, რომ ანტიკვარული ნივთები მოძიებული და შერჩეული იყო განათლების, კულტურის და მეცნიერების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველის მიერ და მათი ექსპერტიზა საჭიროებდა როგორც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ასევე, ეროვნული მუზეუმის დარგობრივი ექსპერტების მიერ.

2019 წლის 22 აპრილს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სააგენტოს აცნობა, რომ დიზაინერის დახმარებით დამატებით შერჩეული იყო თანამედროვე ავეჯი და სხვადასხვა ინტერიერის აქსესუარები. წერილს თანდართული სხვადასხვა კომპანიების ინვოისების მიხედვით, უმეტესწილად შერჩეული იქნა ევროპული საქონელი რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 187 941 ევროს და 228 909 ლარს. ამასთან, წარმოდგენილ იქნა ანტიკვარული ავეჯის რესტავრაციისთვის საჭირო სავარაუდო ხარჯი - 54 752 აშშ დოლარი.

აღნიშნული სამი წერილის შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსთვის გაგზავნილი ინვოისების მიხედვით, შესასყიდი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენდა დაახლოებით **2,1 მილიონ ლარს**.

შესასყიდი საქონლის ღირებულებები ინვოისების მიხედვით

	დოლარი	ლარი
ანტიკვარული ჭადები	129,500.00	349,650.00
ანტიკვარული ავეჯი	234,500.00	633,150.00
ანტიკვარული	62,300.00	168,210.00
სულ	426,300.00	1,151,010.00

	ევრო	ლარი
თანამედროვე საწილი		
სამუშაოები	45,785.18	139,186.95
ქურქელი	80,000.00	243,200.00
ავეჯი		35,000.00
ფარდა	13,300.00	40,432.00
ფარდები		53,252.22
ავეჯი	48,856.00	148,522.24
პრეზიდენტის კაბინეტი და		
აზიური ოთახი		55,000.00
პრეზიდენტის ოთახის ჭადი,		
და სანათები		85,657.38
სულ	187,941.18	800,250.79

	დოლარი	ლარი
რესტავრაცია	54,752.00	147,830.40

ლარი	228,909.60
დოლარი	481,052.00
ევრო	187,941.18

ჯამი

2,099,091.19

2019 წლის 1 მაისს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტომ მიმართა თხოვნით მის ზემდგომ უწყებას, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს, რომ ეშუამდგომლა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისა და ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო თანხის (სულ 2 250 000 ლარი) გამოყოფაზე. იმავე დღეს, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა მიმართა საქართველოს ფინანსთა მინისტრს და გაუგზავნა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსთვის 2 250 000 ლარის გამოყოფას.

2019 წლის 05 ივნისს და 07 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს წარუდგინა შესაძენი ავეჯის და ინვენტარის დაკორექტირებული სია, რომლის საბოლოო ღირებულებამ შეადგინა 240 908 ლარი, 732 758 აშშ დოლარი და 63 973 ევრო. შესაძენი ნივთების ღირებულება დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარით გაიზარდა, შესაბამისად სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა 2,8 მილიონ ლარამდე გაზრდის საჭიროებას მოითხოვდა. სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტომ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შესაძენი საქონლის განახლებული სიის შესახებ ინფორმაცია, იმავე დღეს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს აცნობა, ხოლო ამ უკანასკნელმა, 11 ივნისს თავის მხრივ ფინანსთა სამინისტროს გაუგზავნა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ მთავრობის განკარგულების პროექტის დაკორექტირებული ვერსია. 19 ივნისს საქართველოს

მთავრობამ გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვით პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისთვის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 2 800 000 ლარი.

2019 წლის 26 ივნისს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტომ პრეზიდენტის რეზიდენციისათვის შესაძენი ნივთების ავთენტურობის დადგენისა და მიახლოებული საბაზრო ღირებულების განსაზღვრისათვის, შესაბამისი კონსულტაციისა და მომსახურებისათვის საქართველოს ეროვნულ მუზეუმს მიმართა. **27 ივნისს**, ეროვნული მუზეუმიდან ნივთების შესწავლაში მონაწილეობაზე თანხმობის მიღების შემდეგ, მათ გაეგზავნათ შესასყიდი ანტიკვარული ნივთების სია, მათი ავთენტურობის და სავარაუდო შესასყიდი ფასის დასადგენად. **28 ივნისს (მუზეუმის მიერ დათარიღებული ოქმების მიხედვით) ეროვნულმა მუზეუმმა დაასრულა შესასყიდი ანტიკვარული ნივთების უდიდესი ნაწილის შესწავლა.**

2019 წლის 28 ივნისს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის და **2 ივლისს** ეროვნული მუზეუმისთვის გაგზავნილი წერილებით ირკვევა, რომ შესყიდვის მნიშვნელობიდან და ღირებულებიდან გამომდინარე სააგენტომ მიიღო ანტიკვარულ ნივთებზე ეროვნული მუზეუმის სპეციალისტების შეფასებების კომისიური წესით განხილვის გადაწყვეტილება.

1 ივლისს ეროვნულმა მუზეუმმა სააგენტოს გაუგზავნა შესასყიდ ნივთებზე სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ოქმების ნაწილი, ხოლო **10 ივლისს** დარჩენილი ნაწილი. ეროვნული მუზეუმის ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ცალკეულ შესასყიდ ნივთებზე მეპატრონის მიერ შემოთავაზებული ფასი აღემატებოდა მის რეალურ ღირებულებას. **25 ივლისს** სააგენტოს მიერ მუზეუმისთვის გაგზავნილი წერილის მიხედვით ირკვევა, რომ ცალკეული ნივთების შეძენა კვლავ ინარჩუნებდა აქტუალობას და მუზეუმს ეთხოვა დამატებითი კვლევის ჩატარება მათი ავთენტურობის და საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით. თავის მხრივ მუზეუმის მიერ **26 ივლისს** და **29 ივლისს** სააგენტოს გაეგზავნა დამატებითი კვლევის შედეგები.

2019 წლის 3 ივლისს და **30 ივლისს** კომისიის მიერ გამოცემული ოქმებით დადასტურდა პრეზიდენტის რეზიდენციისათვის ნივთების შეძენის მიზანშეწონილობა.


2019 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს გადაუგზავნა შეძენილი ნივთების ნუსხა, რომლებსაც ესაჭიროებოდა რესტავრაცია. რესტავრაციის საერთო ღირებულება 82 600 აშშ დოლარს შეადგენდა.

პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ კომუნიკაციის სქემა



პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებების წერილობითი კომუნიკაცია




პრეზიდენტის რეზიდენციის მოწყობაზე გაწეული ხარჯები

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისათვის შერჩეული ანტიკვარული და თანამედროვე ავეჯის და სხვადასხვა ნივთების შესასყიდად, 2019 წლის 18 ივნისს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 2 800 000 ლარი.

სსიპ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან 2 174 783 ლარის ღირებულების შესყიდვა განხორციელდა, საიდანაც 1 199 558 ლარი მოხმარდა ანტიკვარული ავეჯის და ინტერიერის აქსესუარების შეძენას, 255 000 ლარი მათ რესტავრაციას, ხოლო 720 225 ლარი - თანამედროვე ავეჯის, სანათი საშუალებების და ფარდების შესყიდვას.

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ათვისების ეს მაჩვენებელი, განაპირობა ცალკეულ ანტიკვარული ნივთების არ შესყიდვამ, რაც უმეტესწილად განპირობებულია კომისიის მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებით. კერძოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შესასყიდად შერჩეული ანტიკვარული ნივთებიდან არ იქნა შესყიდული სულ 144 200 აშშ დოლარი ღირებულების ნივთები.



პრეზიდენტის რეზიდენციისათვის შესყიდული ანტიკვარიატი


საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისთვის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შეირჩა სხვადასხვა კერძო მესაკუთრის მფლობელობაში არსებული 67 ანტიკვარული ნივთი, რომელთა შემოთავაზებული საწყისი ღირებულება შეადგენდა 650 158 აშშ დოლარს.

შესაძენი ნივთების ავთენტურობის, სიძველისა და ფასების (საშუალო საბაზრო ფასთან მიმართებით) დადგენის მიზნით პრეზიდენტის ადმინისტრაცია მიზანშეწონილად მიიჩნევდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ეროვნული მუზეუმის მიერ შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებას. თუმცა, როგორც IDFI-სთვის მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, საბოლოოდ აღნიშნული ნივთების შესწავლაში მონაწილეობდა მხოლოდ ეროვნული მუზეუმის 3 თანამშრომელი. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **განმარტებით**, მათთვის მსგავსი სასაქონლო ექსპერტიზის მოთხოვნით არ მიუმართავთ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტომ ეროვნულ მუზეუმს ანტიკვარული ნივთების შესწავლაზე კვალიფიციური დახმარების თხოვნით მიმართა 2019 წლის 26 ივნისს, მეორე დღეს (ეროვნული მუზეუმიდან ანტიკვარული ნივთების შესწავლაში თანხმობის მიღების შემდეგ) მუზეუმს გადაეგზავნა შესასწავლი ნივთების სია, ხოლო 28 ივნისს (მუზეუმის მიერ გამოცემული ოქმების თარიღების მიხედვით) ეროვნულმა მუზეუმმა დაასრულა შესასყიდი ანტიკვარული ნივთების უდიდესი ნაწილის (58 ნივთი) შესწავლა. ეროვნული მუზეუმის მიერ მოწოდებული ოქმების მიხედვით, სამუშაო ჯგუფმა ანტიკვარული ნივთების ავთენტურობა და შეთავაზებულ ფასად შესყიდვის მიზანშეწონილობა დაადგინა მხოლოდ ნივთის ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

შესაბამისად, ეროვნულმა მუზეუმის სამუშაო ჯგუფმა ორ დღეში ადგილზე შეისწავლა 58 ანტიკვარული ნივთი და მათი ვიზუალური დათვალიერებით განსაზღვრა მათი შესყიდვის მიზანშეწონილობა.

ეროვნული მუზეუმისთვის შესასწავლად გადაგზავნილი 67 ნივთიდან, ოქმების მიხედვით, ეროვნული მუზეუმის სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა 62 ნივთი, საიდანაც 51-ზე შესაძლებლად მიიჩნია ნივთის შეძენა შემოთავაზებულ ფასად, ხოლო 11 შემთხვევაში დაასკვნა, რომ შემოთავაზებული ფასი აღემატებოდა მის რეალურ ღირებულებას. ამ 11 ნივთიდან, რომლის შესყიდვაც ფასის გამო მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, 5 ნივთზე, ეროვნულ მუზეუმს ეთხოვა დამატებითი კვლევის ჩატარება მისი საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით. ეროვნული მუზეუმიდან მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით დამატებითი კვლევის ოქმი შედგენილია სამ ნივთზე. კერძოდ, დამატებითი კვლევის მიხედვით მე-19 საუკუნის სასახლის ჭადის (შემოთავაზებული საწყისი ფასი 32 200\$) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 20 000\$-ის ფარგლებში (შესყიდულია 20 300\$), მე-19 საუკუნის მოოქროვილი ბრინჯაოს ბუხრის საათის (შემოთავაზებული საწყისი ფასი 10 100\$) 7000\$-დან 8000\$-ის ფარგლებში (შესყიდულია 7000\$), ხოლო მე-19 საუკუნის სამეულის ფასზე შეცვლილი იქნა სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება და თავდაპირველად შემოთავაზებული ფასი 2 500\$ მიჩნეული იქნა შესასყიდად მიზანშეწონილად (არ არის შესყიდული). დანარჩენ ორ ნივთზე (მე-20 საუკუნის წიგნის კარადა და მე-19 საუკუნის მოოქრული სარკე) დამატებითი კვლევის შედეგები უცნობია, თუმცა ისინი არ არის შესყიდული.


ანტიკვარული ნივთები, რომლებზეც კომისიამ მოითხოვა დამატებითი კვლევა					
ნივთის დასახელება					
	სასახლის ჭალი 18 სანათით	ბუხრის საათი, მოოქროვილი ბრინჯაო, XIX საუკუნე	სამეული XIX საუკუნე	წიგნის კარადა XX საუკუნე	მოოქრული სარკე XIX საუკუნე
დაწუნებული ფასი	32 200\$	10 100 \$	2 500\$	15 000\$	6 500\$
განმეორებითი შესწავლით დადგენილი ფასი	20 000\$	7000\$-8000\$	2 500\$	უცნობია	უცნობია
შესყიდვის ფასი	20300\$	7000\$	არ შესყიდულა	არ შესყიდულა	არ შესყიდულა

ოქმ ი №62

2019 წ. 9 ივლისი

სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 26 ივნისის №8/38 და 27 ივნისის №8/39 წერილის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებულმა სამუშაო ჯგუფმა განვიხილეთ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის მოწყობის მიზნით წარმოდგენილი სამუშაოს ავთენტურობისა და მიახლოებული საბაზრო ღირებულების საკითხი.

სამუშაო ჯგუფმა ადგილზე [redacted] ნივთის ვიზუალური შესწავლის საფუძველზე, სამეული შედგენილია სხვადასხვა ადგილის ნაწილებისგან, არ არის ავთენტური, XIX საუკუნე, ევროპა, მისი შემოთავაზებული ფასი (2,500 - დოლარი, პოზიცია N14) აღმატება ნივთის ღირებულებას.





ოქმ ი №63

2019 წ. 26 ივლისი

სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის №8/44 წერილის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებულმა სამუშაო ჯგუფმა დამატებითი განვიხილეთ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის მოწყობის მიზნით წარმოდგენილი სამუშაოს ავთენტურობისა და მიახლოებული საბაზრო ღირებულების საკითხი.

სამუშაო ჯგუფმა ადგილზე [redacted] ნივთის დამატებითი კვლევის საფუძველზე დაადგინა - მიუხედავად იმისა, რომ ნივთი შედგენილია და სხვადასხვა კომპლექტის ნაწილებს წარმოადგენს, დამოუკიდებლად ტახტი და სავრძლეტი ავთენტურია, გამკეთებელმა XIX საუკუნის ევროპულ წარმოშ. შემოთავაზებული ფასიდან (2,500 - დოლარი, პოზიცია N14) გამომდინარე, სამუშაო ჯგუფმა მისი შეძენა ჩათვალა მიზანშეწონილად.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამუშაო ჯგუფის შეცვლილი გადაწყვეტილება ანტიკვარული ნივთის ღირებულების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტის რეზიდენციისათვის ანტიკვარული ნივთების შესყიდვაზე, ეროვნული მუზეუმის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ოქმების საფუძველზე, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, რომელიც შედგებოდა 9 წევრისგან: სსიპ უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ეკონომიკური სამსახურის უფროსი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის

მოადგილე, პრეზიდენტის მრჩეველი კულტურის საკითხებში, კინოს, თეატრის მუსიკის და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი და ეროვნული მუზეუმის 3 თანამშრომელი.

საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის მოწყობის მიზნით, კომისიის თანხმობით სულ შესყიდულია 47 ოქმის მიხედვით შეფასებული ანტიკვარული ნივთები, რისთვისაც ჯამში 416,801.20 დოლარი (1,199,558.16 ლარი) დაიხარჯა. ამ ნივთებს შორისაა: 10 გარნიტური, 7 ბული/მარკეტერი, 7 ჭადი, 5 მაგიდა, 3 ბუხრის საათი, 3 სარკე, 3 შანდალი, 2 ხალიჩა და სხვა

ათონელის რეზიდენციისთვის შესყიდულ ანტიკვარულ ნივთებს შორის ყველაზე ძვირადღირებულია რუსეთის საიმპერატორო ქარხანაში დამზადებული XIX საუკუნის ჭადი - 59 000 აშშ დოლარი, XIX საუკუნის ამპირის სტილის ჭადი - 27 300 აშშ დოლარი, XIX საუკუნის აღმოსავლური ჭადი - 26 810 აშშ დოლარი, XVIII-XIX საუკუნის მიჯნის ევროპული სასახლის ჭადი - 20 300 აშშ დოლარი. 4 ერთეულ ჭადში - ჯამში 133 410 აშშ დოლარი/391 112 ლარი დაიხარჯა.


შესყიდულ ანტიკვარულ ავეჯს (გარნიტურები, ბული, მაგიდა) შორის ყველაზე ძვირადღირებულია რუსული - პავლე პირველის პერიოდის (1754-1801) ბიუროს სეკრეტერი - საწყისი ღირებულებით 18 100 აშშ დოლარი. ასევე, რუსული იმავე პერიოდის სამეული, მაგიდა და ოთხი სკამი - 16 000 აშშ დოლარი. ამ ანტიკვარული ავეჯის შესყიდვის ზუსტი ფასი, ინსტიტუტისთვის უცნობია, ვინაიდან მოწოდებული ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ მათი მფლობელისთვის სხვა ანტიკვარულ ნივთებთან ერთად გადახდილ საერთო ფასს. ძვირადღირებულ ანტიკვარულ ავეჯს შორის შესყიდვის ფასის მიხედვით, გამორჩეულია XIX საუკუნის ფრანგული მისაღები გარნიტური - სამეული მაგიდით - 13 800 აშშ დოლარი.

პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისთვის შესასყიდად შერჩეული 67 სხვადასხვა დასახელების ანტიკვარული ნივთიდან, საბოლოოდ 20 არ იქნა შესყიდული. მათ შორის, 9 ნივთის შესყიდვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა ეროვნული მუზეუმის სამუშაო ჯგუფის დასკვნა, რომლის მიხედვით შემოთავაზებული ფასი აღემატებოდა ნივთის ღირებულებას.


პრეზიდენტის რეზიდენციისთვის შესყიდული ყველაზე ძვირადღირებული ანტიკვარული ნივთები



59 000\$ (173 141 ლარი) სასახლის ჭადი -
მოოქროვილი ბრინჯაო, ლურჯი და თეთრი ბროლი, დამზადებული
რუსეთის საიმპერატორო ქარხანაში, XIX საუკუნე



27 300\$ (79 637 ლარი) ამპირის სტილის ჭადი
(XIX საუკუნის პირველი ნახევარი, ევროპა)



26 810\$ (78 006 ლარი) აღმოსავლური ჭადი -
(მინა XIX საუკუნე, ირანი)



20 300\$ (60 328 ლარი) სასახლის ჭადი -
მოოქროვილი ბრინჯაო, ბროლი XVIII-XIX საუკუნის მიჯნა, ევროპა)



ბიუროს „სეკრეტერი“ - პავლე I-ის
პერიოდი (1754-1801, რუსეთი)- საწყისი
ღირებულება 18 100\$




სამეული, მაგიდა და ოთხი სკამი - წითელი
ზე, პავლე პირველის პერიოდი
(1754 – 1801, რუსეთი)- საწყისი
ღირებულება 16 000 \$



მისაღების გარნიტური - სამეული მაგიდით
(XIX საუკუნის პირველი ნახევარი,
საფრანგეთი) - შესყიდვის ფასი 13 800 \$

პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისათვის შეძენილ ანტიკვარულ ნივთებს შორის, ავეჯისა და ჭადების გარდა, ვხდებით სხვადასხვა ძვირადღირებულ ინტერიერის აქსესუარებს. მაგალითად, 8 500 აშშ დოლარად შესყიდულია XIX საუკუნის ბოლო- XX საუკუნის დასაწყისის შვიდი ირანული სურათი-ფერწერული ტილო (მათი რესტავრაციისთვის დამატებით დაიხარჯა 7 000 აშშ დოლარი), 4 310 აშშ დოლარად- ასევე XIX საუკუნის ირანული მამლის ფიგურების წყვილი.

შესყიდულ ანტიკვარულ ნივთებს შორისაა XIX საუკუნის ევროპული წარმომავლობის 3 წყვილი შანდლები, რომელთა ღირებულება 3000 დან 8000 აშშ დოლარამდე მერყეობს, XIX საუკუნის ფრანგული 3 ბუხრის საათი, რომელთა ღირებულება 7000 დან 18 000 აშშ დოლარამდე მერყეობს, XX საუკუნის შუა აზიური ორი ხალიჩა - თითოეულის საწყისი ფასი 5000 დან 7000 აშშ დოლარამდე და სხვა.



შვიდი ფერწერული ტილო, ირანი, XIX საუკუნის ბოლო- XX საუკუნის დასაწყისი - 8 500 \$	მამლების წყვილი ბრინჯაო, ირანი შესყიდვის ფასი - 4 310 \$
--	--



მოოქრული ბრინჯაოს ბუხრის საათი (XIX საუკუნე, საფრანგეთი) - საწყისი ღირებულება 18 000 \$



ბუხრის საათი - ბრინჯაო, ბაროკოს სტილი XIX საუკუნის პირველი ნახევარი, საფრანგეთი) - - საწყისი ღირებულება 8 100 \$



ბუხრის საათი - მოოქრული ბრინჯაო, ნადირობის ქალღმერთის გამოსახულებით (XIX საუკუნე, საფრანგეთი) - შესყიდვის ფასი 7 000\$



შანდლების წყვილი - ამპირის სტილი, მოოქრული ბრინჯაო (XIX საუკუნის ევროპა) -- საწყისი ღირებულება 8 000 \$



შანდლის წყვილი - ამპირის სტილი, მოოქროვილი, ბრინჯაო, ბროლი (XIX საუკუნე, ევროპა) - შესყიდვის ფასი 7 000\$



შანდლის წყვილი - ამპირის სტილი, ბრინჯაო - (XIX საუკუნე, ევროპა) - საწყისი ღირებულება 3 000 \$



სარკე - ჟაკობის სტილი, კარალიის არყის ხე (XIX საუკუნის პირველი ნახევარი, რუსეთი) საწყისი ღირებულება - 10 100\$



სარკის წყვილი - მსხლის ხე, არტ ნუვო XIX საუკუნის მეორე ნახევარი, ევროპა) საწყისი ღირებულება - 10 000\$



წყვილი სარკე - მოოქრული ხე (XIX საუკუნის ბოლო, ევროპა) - შესყიდვის ფასი - 4 000\$



4 ერთეული ფარდის საკიდი - ორნამენტირებული ხე, მოოქრული (XIX საუკუნე, საფრანგეთი) საწყისი ღირებულება -2 800 \$



ტეკინის ხალიჩა (XX საუკუნის პირველი ნახევარი, შუა აზია საწყისი ღირებულება - 5 000 აშშ დოლარი




ტეკინის ხალიჩა XX საუკუნის პირველი ნახევარი, შუა აზია) საწყისი ღირებულება - 7 100 აშშ დოლარი



ბუხრის ეკრანი - როკოკოს სტილი, მოოქროვილი ხე, ფერწერა (XIX საუკუნე, ევროპა)- შესყიდვის ფასი 1300\$

პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებით ანტიკვარული ნივთების შესყიდვა ემსახურებოდა ჩვენი საზოგადოებისათვის და მომავალი თაობებისთვის კულტურული ფასეულობების შენარჩუნებას.

მიუხედავად ამისა, შესყიდულ ნივთებს შორის არცერთი არ არის ქართული წარმომავლობის. თითოეული ნივთის შესწავლისას შედგენილი ოქმების მიხედვით, 25 ერთეულზე მითითებულია, რომ არის ევროპული წარმომავლობის, 11 ერთეული - ფრანგული, 6 ერთეული - რუსული, 3 ერთეული ირანული, ხოლო 2 ერთეული - შუა აზიური.



შესყიდული ანტიკვარიატის რესტავრაციის ხარჯები

პრეზიდენტის რეზიდენციისათვის შესყიდულ ანტიკვარულ ნივთებს დამატებით ჩაუტარდათ რესტავრაცია. კერძოდ, ამ ნივთების რესტავრაციაზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს არ-დეკოსთან, რომლის ღირებულებამ შეადგინა 82 600 აშშ დოლარი (255 000 ლარი). შპს არ-დეკოს ბოლო ინვოისის მიხედვით ხარჯთაღრიცხვა მოცემულია 20 სხვადასხვა დასახელების ანტიკვარული ნივთის/ნივთთა ერთობლიობის მიხედვით. ყველაზე დიდი თანხა (10 500 აშშ დოლარი) გათვალისწინებულია ანტიკვარულის ბულის, ბული მარკეტრის და მაგიდის რესტავრაციაზე. ფასში გათვალისწინებულია ამ ნივთებისთვის ქვების აღდგენა, ხის დამუშავება, ლატუნების აღდგენა, მარმარილოს შეცვლა, ბრინჯაოს დამატება, დაპოლირება, მაუდის შეცვლა, ბრინჯაოს გაწმენდა და მოოქროვება.

რესტავრაციის ხარჯების სიდიდით (8 950 აშშ დოლარი) რიგით მეორეა კიდევ ერთი ბული მარკეტრის და გარნიტურის (ტახტი, 5 სავარძელი და მაგიდა) სარესტავრაციო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს საღებავის მოშორებას, გამაგრებას, ქსოვილის შეცვლას და მოოქროვებას.

ყველაზე ძვირად რესტავრირებულ ნივთებს შორის მოხვდა, ასევე 7 ცალი ნახატი ფერწერა, რომელთა დამუშავებისთვის, აღდგენა დუბლირებისთვის და ახალი ტილოთი ქვეჩარჩოებზე გადაჭიმისთვის გათვალისწინებული 7 000 აშშ დოლარი. ასევე ერთ-ერთი ბიურო მარკეტრის და ჟაკობის სტილის სარკის რესტავრაციისთვის გათვალისწინებულია 5 800 აშშ დოლარი. დანარჩენი ნივთების რესტავრაციის ხარჯები 200 დან 3000 აშშ დოლარამდე მერყეობს. აღნიშნული ნივთების ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებულია 2000 აშშ დოლარი.

ყველაზე ძვირად რესტავრირებული ანტიკვარული ნივთები			
	დასახელება	მომსახურება	ფასი
1	ბული, ბული მარკეტრი, საწერი მაგიდა	ქვების აღდგენა, ხის დამუშავება, ლატუნების ჩასმა, მარმარილოს შეცვლა, ბრინჯაოს დამატება, დაპოლირება მაუდის შეცვლა, ზედაპირის დამუშავება, ბრინჯაოს გაწმენდა, მოოქროვება	10 500 \$
2	ბულის მარკეტრი, გარნიტური (ტახტი, 5 სავარძელი და მაგიდა)	საღებავის მოშორება, გამაგრება, გამკურკვა, ქსოვილის შეცვლა, მოოქროვება	8 950\$
3	7 ცალი ნახატი ფერწერა	დამუშავება, გაწმენდა, აღდგენა დუბლირება, ახალი ტილოთი ქვეჩარჩოებზე გადაჭიმვა	7 000\$
4	ბიურო მარკეტრი, სარკე ჟაკობის სტილი	გარეცხვა, დაშლაკება, ბრინჯაოს შეკეთება, ლატუნების დამატება დაპოლირება	5 800\$
5	სამეული, მაგიდა და 4 სკამი	ზედაპირის განახლება, გამაგრება, მაგიდა-სკამების კაპიტალური შეკეთება, ქსოვილის შეცვლა	3 000\$

პრეზიდენტის რეზიდენციისათვის შესყიდული თანამედროვე ავეჯი და სანათი საშუალებები

პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისთვის, თანამედროვე ავეჯის, სანათი საშუალებების და ფარდების შესყიდვაზე, 7 კომპანიასთან, ტენდერის გარეშე, ჯამში 720 225 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები გაფორმდა. კომპანიების მიერ პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის უცხოურ ვალუტაში მიწოდებული ინვოისების შესაბამისად, აღნიშნული საქონლის უდიდესი ნაწილის შესყიდვა საზღვარგარეთ განხორციელდა. მაგალითად, შპს არქილასგან შესყიდულია 72 000 ევროს ღირებულების თანამედროვე ავეჯი, შპს სტუდიო 168 - 20 047 აშშ დოლარის თანამედროვე ავეჯი და სანათი საშუალებები, ხოლო შპს პროლაითისგან - 58 069 ევროს ღირებულების სანათი საშუალებები. ასევე დამატებით, შპს დალაქიშვილი ლაითინგისგან შესყიდულია 74 002 ლარის ღირებულების სანათი საშუალებები.

ათონელის რეზიდენციისთვის საფარდე ქსოვილის და მათი შეკერვის შესყიდვაზე შპს ინტერიოსთან და შპს სტუდია დეკორტექსთან გაფორმდა ჯამში 93 665 ლარის ღირებულების ხელშეკრულება.

პრეზიდენტის რეზიდენციისთვის შესყიდული თანამედროვე ავეჯი , სანათი საშუალებები და ფარდები			
შეძენილი საქონელი	მომწოდებელი კომპანია	ღირებულება	ხელშეკრულების თანხა
თანამედროვე ავეჯი	არქიდეა	72 000 ევრო	233 971 ლარი
თანამედროვე ავეჯი, სანათი საშუალებები	სტუდიო 168	20 047 აშშ დოლარი	62 000 ლარი
სანათი საშუალებები	პროლაითი	58 069,33 ევრო	198 000 ლარი
სანათი საშუალებები	დალაქიშვილი ლაითინგი	74 001,93 ლარი	74 001,93 ლარი
საფარდე ქსოვილი	ინტერიო	89 750 ლარი	89 750 ლარი
ფარდების შეკერვა	სტუდიო დეკორტექსი	3 915 ლარი	3 915 ლარი

კომპანიების მიერ წარდგენილი ინვოისების შესწავლით ირკვევა, რომ პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისთვის ანტიკვარული ნივთების გარდა, დამატებით შესყიდულია 111 ერთეული სხვადასხვა ტიპის თანამედროვე ავეჯი (1 ბიბლიოთეკის კედელი, 2 ტახტი, 13 მაგიდა, 60 სკამი/სავარძელი, 22 კონსოლი, 5 ტუმბო/დესაო, 8 პედესტალი) და 120 ერთეული სანათი საშუალება (17 ჭადი, 9 მაგიდის ლამპა, 49 ბრა, 38 ტორშერი, 7 ნათურა).

თანამედროვე ავეჯს შორის ყველაზე ძვირადღირებულია, შპს არქიდეადან შესყიდული 13 000 ევროს და 10 300 ევროს ღირებულების ტახტები. ასევე, შპს „კასა ვერდედან“ შესყიდული ბიბლიოთეკის კედელი - ღირებულებით - 21 830 ლარი.

ათონელის რეზიდენციისთვის შესყიდული თანამედროვე ავეჯის და სანათი საშუალებების ფასები მათი დანიშნულების, ზომის, ვიზუალის და ხარისხის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, მაგიდების ფასი 5 700 ლარიდან 17 000 ლარამდე მერყეობს, საიდანაც ყველაზე ძვირადღირებულია შპს კასა-ვერდესგან შესყიდული 16 992 ლარის ღირებულების ბუხრის ოთახის სასაღილო მაგიდა და შპს არქიდეასგან შესყიდული ყავის მაგიდა - ღირებულებით 4 100 ევრო. შესყიდული 60 სკამიდან/სავარძლიდან ყველაზე ძვირადღირებულია შპს არქიდეასგან შესყიდული სამუშაო მაგიდის სკამი - ღირებულებით 1 180 ევრო. სკამების/სავარძლების უმრავლესობა შესყიდულია შპს სტუდიო 168-დან რომელთა ღირებულება 333-დან 509 დოლარამდე მერყეობს. კონსოლების ფასი 600 დან 11500 ლარამდე მერყეობს, რომელთა შორის ყველაზე ძვირადღირებულია შპს არქიდეასგან შესყიდული კონსოლი - ღირებულებით 3 550 ევრო.

ავეჯის გარდა, მაღალი ფასებით და სიმრავლით ასევე გამოირჩევიან შესყიდული თანამედროვე სანათი საშუალებები. მაგალითად, შესყიდული 17 ჭადიდან თითოეულის ფასი 1900-დან 6 000 ლარამდე მერყეობს (ყველაზე ძვირადღირებული - 1808 ევრო), 38 ტორშერიდან თითოეულის ფასი მერყეობს 300-დან 4 000 ლარამდე (ყველაზე ძვირადღირებული - 1 250 ევრო), 49 ბრიდან - თითოეულის ფასი მერყეობს 700- დან 2700 ლარამდე (ყველაზე ძვირადღირებული - 2 655 ლარი),

9 მაგიდის ლამპიდან თითოეულის ფასი მერყეობს 1100-დან 1 500 ლარამდე (ყველაზე ძვირადღირებული - 1 475 ლარი). შპს პროლაიტიდან შესყიდული 7 ნათურის ღირებულებამ - თითოეულის შემთხვევაში შეადგინა 41,9 ევრო.

პრეზიდენტის რეზიდენციისთვის შესყიდული თანამედროვე ავეჯი და სანათი საშუალებები		
საქონელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი
ბიბლიოთეკის კედელი	1	21830 ლარი
ტახტი	2	33 400- დან 42 300 ლარამდე
მაგიდა	13	5 700 - დან 17 000 ლარამდე
სკამი/სავარძელი	60	1000-დან 3 800 ლარამდე
კონსოლი	22	600 -დან 11 500 ლარამდე
ტუმბო/დესაო	5	5400 დან 7235 ლარამდე
პედესტალი	8	2 660 ლარი
ჭადი	17	1900-დან 6 100 ლარამდე
ტორშერი	38	300-დან 4 000 ლარამდე
ბრა	49	700- დან 2700 ლარამდე
მაგიდის ლამპა	9	1100-დან 1 500 ლარამდე
ნათურა	7	142 ლარი

შენიშვნა: ცხრილში თანხა მოცემულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ექვივალენტ ლარში

პრეზიდენტის რეზიდენციისთვის შესყიდული ყველაზე
ძვირადღირებული თანამედროვე ავეჯი




13 000 € ტახტი - შპს არქიდეა



10 300 € ტახტი - შპს არქიდეა



21,830 ლარი - ბიბლიოთეკის კედელი - შპს "კასა
ვერდე"



16,992 ლარი - ბუხრის ოთახის სასადილო მაგიდა -
შპს "კასა ვერდე"



4 100 € ყავის მაგიდა - შპს არქიდეა

საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისათვის ძვირადღირებული ანტიკვარული და თანამედროვე ავეჯის, სანათი საშუალებების და სხვა ინტერიერის აქსესუარების შესყიდვა განხორციელდა სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით, შესაბამისი ბაზრის დაჩქარებული შესწავლა/ექსპერტიზის და კონკურენციის არ არსებობის პირობებში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში შექმნილი სარეზერვო ფონდები გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარად გამოიყენება. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისათვის თანხის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, აჩენს კითხვებს რამდენად შეესაბამება ეს გადაწყვეტილება სარეზერვო ფონდის განკარგვის პრინციპებს. კერძოდ, პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობა, წარმოადგენს იმ ტიპის ხარჯებს, რომლის გათვალისწინებაც შესაძლებელია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და ნაკლებად არის განპირობებული ფორს-მაჟორული ან გაუთვალისწინებელი სიტუაციიდან.

IDFI მიიჩნევს რომ, მსგავსი შინაარსის შესყიდვებისთვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა, მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება სარეზერვო ფონდის განკარგვის მთავარ პრინციპს, რაც თანხების გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის გამოყოფას გულისხმობს, ხოლო ბაზრის სათანადო შესწავლის და კონკურენციის არ არსებობის პირობებში განხორციელებული სოლიდური ღირებულების შესყიდვები, მნიშვნელოვნად ზრდის საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური განკარგვის რისკებს.

პრეზიდენტის რეზიდენციისათვის ანტიკვარული ნივთების შესყიდვის პროცესის (მაგალითად, ეროვნული მუზეუმის მიერ ვიზუალური დათვალიერებით 2 დღეში დასრულებული ანტიკვარული ნივთების უდიდესი ნაწილის შესწავლის პროცესი) და ცალკეული ნივთების ფასი (მაგალითად, 59 000 აშშ დოლარად შესყიდული ჭადი, 13 800 აშშ დოლარად შესყიდული სამეული მაგიდით და ა.შ.) საეჭვოს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოზიციას ანტიკვარული ნივთების შესყიდვით გარკვეული ეკონომიის გაკეთებასთან დაკავშირებით. ასევე, ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მოტივით პრეზიდენტის რეზიდენციის ადგილმდებარეობის საჭირო ცვლილებასთან დაკავშირებით.

ამასთან, საბიუჯეტო სახსრებით პრეზიდენტის რეზიდენციის მაღალ ფასიანი ანტიკვარული ნივთებით კეთილმოწყობა, ვერ ჩაითვლება საზოგადოებისათვის და მომავალი თაობებისთვის კულტურული ფასეულობების შენარჩუნების ოპტიმალურ გადაწყვეტილებად და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესატყვის საქმიანობად. ინსტიტუტი მიიჩნევს რომ, ამგვარი ღონისძიებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრები უნდა გამოეყოს იმ სახელმწიფო ინსტიტუტებს (მაგალითად ეროვნულ მუზეუმში) რომელთა უშუალო კომპეტენციაა კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა და სამუზეუმო ექსპონატების გადარჩენა-ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი განკარგვის თვალსაზრისით განსაკუთრებული რისკის მატარებელია, ტენდერის გარეშე 720 225 ლარი ღირებულების თანამედროვე ავეჯის, სანათი საშუალებების და ფარდების შესყიდვა.

IDFI მოუწოდებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, დეტალურად შეისწავლოს სარეზერვო ფონდიდან პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი თანხების განკარგვის მიზნობრიობა და ხარჯთეფექტურობა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ა. გრიბოედოვის ქ. №3 • თბილისი 0108 • საქართველო

ტელ: + 995 32 2 92 15 14 • ელ-ფოსტა: info@idfi.ge

WWW.IDFI.GE